

**საქართველოს თავდაცვის მინისტრის  
ბრძანება N MOD 5 19 00000056  
2019 წლის 30 იანვარი ქ.თბილისი  
სამხედრო მოსამსახურეთა მოწყობასთან დაკავშირებით  
გასატარებელი ღონისძიებების შესახებ**

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის №580 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სამხედრო მოსამსახურეთა მოწყობა (შემდგომი-მოწყობა) ჩატარდეს სახელმწიფო დროშასთან სახელმწიფო ჰიმნის შესრულებით:

ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომ - სამინისტრო) და საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის (შემდგომ - გენერალური შტაბი) იურიდიულ მისამართზე მდებარე ტერიტორიაზე მიმდებარე ტერიტორიაზე - ყოველ ორშაბათს (კვირის სხვა დღეებში, გარდა შაბათ-კვირისა და უქმე დღეებისა, სრულდება მე-3 პუნქტით განსაზღვრული ცერემონია);

ბ) საქართველოს თავდაცვის ძალებში - დადგენილი წესითა და პერიოდულობით;

გ) სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში, სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში და თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის, სპეციალური ოპერაციების ძალებისა და ეროვნული გვარდიის შემადგენლობაში შემავალ იმ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, რომლებიც ახორციელებენ საგანმანათლებლო საქმიანობას - ყოველდღიურად (გარდა შაბათ-კვირისა და უქმე დღეებისა).

2. მოწყობის დროდ განისაზღვროს 09:00 საათი, გარდა ამ ბრძანების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალებში შემავალი ქვედანაყოფების შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 28 იანვრის NMOD 5 19 00000047 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესით განსაზღვრული იმ ქვედანაყოფებისა სადაც დადგენილია სამუშაო დროის დაწყების განსხვავებული დრო. ამ შემთხვევაში მოწყობა ხორციელდება თავდაცვის ძალებში შემავალი ქვედანაყოფების სარდლების/უფროსების/მეთაურების მიერ განსაზღვრული დროისა და შემადგენლობის შესაბამისად.

3. სამინისტროს იურიდიულ მისამართზე მდებარე ტერიტორიაზე, ყოველდღიურად (გარდა შაბათ-კვირისა და უქმე დღეებისა) 09:00 საათზე, შესრულდეს სახელმწიფო ჰიმნი და სახელმწიფო დროშასთან განლაგდნენ საქართველოს თავდაცვის ძალების

მეთაურის მიერ განსაზღვრული სამხედრო მოსამსახურეები.

4. მოწყობისას, სახელმწიფო ჰიმნის შესრულების დროს მიმდებარე ტერიტორიაზე:

ა) შეწყდეს ყოველგვარი გადაადგილება;

ბ) სატრანსპორტო საშუალებაში მყოფმა სამხედრო მოსამსახურემ დატოვოს სატრანსპორტო საშუალება.

5. საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების და პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებს დაევალოს მოწყობის განხორციელებასთან დაკავშირებული მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, აგრეთვე სხვა საჭირო ღონისძიებების შემუშავება და შესაბამისი ზომების მიღება.

6. კონტროლი ბრძანების შესრულების მატერიალურ-ტექნიკურ (ლოგისტიკურ) უზრუნველყოფაზე დაევალოს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილეს გიორგი ბუთხუზს.

7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სამინისტროს გენერალურ ინსპექციას და თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტს.

8. მოწყობა განხორციელდეს „საქართველოს თავდაცვის ძალების სამწყობრო წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 აპრილის N181 დადგენილების შესაბამისად.

9. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სამხედრო მოსამსახურეთა მოწყობასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 24 ოქტომბრის N MOD 6 16 00000951 ბრძანება.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი

ლევან იზორია